საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030431985798820

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/15892 **20 / ივლისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი ჭავჭავაძეს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში-პროგრამა) ფარგლებში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში-სააგენტო) ახორციელებს C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფას. ამ მიზნით, სააგენტოს, დონაციის ფარგლებში მოეწოდება მედიკამენტი მაი ჰეპ ოლი, ხოლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, შეისყიდის ანტივირუსულ მედიკამენტ რიბავირინს.

C ჰეპატიტის ელიმინაციიის ელ. სისტემიდან და ანალიტიკური მოდულიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, წარმოგიდგენთ ინფორმაციას სააგენტოს ბალანსზე რიცხული მედიკამენტების მარაგების, მათი მოქმედების ვადების, მოსალოდნელ ხარჯვების და შესყიდვის დაგეგმვასთან (რიბავირინი) დაკავშირებით.

2020 წლის 20 ივლისის მდგომარეობით, სააგენტოს საწყობებში (შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“, შპს „მედფარმა პლუსი“) და პროგრამის მიმწოდებლებში (37) მარაგის სახით ინახება:

საწყობები			
მაი ჰეპ ოლი	3112907	28.02.2022	5 574 კოლოფი
ჰარვონი	WMWSD	31.07.2021	1 კოლოფი
რიბავირინი	8560918	01.09.2021	63 255 აბი
მიმწოდებლები *(ბიზნეს პროცესიდან გამომდინარე, მონაცემები იცვლება საათობრივად)*			
მაი ჰეპ ოლი	3108120 / 3112906 /3112907	31.10.2021/31.01.2022/ 28.02.2022	1876 კოლოფი
ჰარვონი	WMWSD	31.07.2021	13 კოლოფი
ეპკლუსა	YPPGD	31.07.2021	2 კოლოფი და 14 აბი (მკურნალობის რეჟიმზე იმყოფება ბავშვი)
	8540918 / 8560918		35 234 აბი

რიბავირინი	/8530918 / 7920818/ 7930818 / 6730618/ 6710618 / IDE1490 8550918	01.09.21/01.09.21 01.09.21/01.08.21 01.08.21/ 01.06.21 01.06.21/01.03.21 01.09.21	

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირობებში, საგრძნობლად შემცირდა პროგრამის მკურნალობის კომპონენტში ჩასართავ პაციენტთა რაოდენობა, რასაც თან დაერთო ზაფხულის პერიოდი. მედიკამენტების ხარჯვის პროცესების უწყვეტი ზედამხედველობის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, პროგრამის მიმწოდებლებში, მოსალოდნელია **ჰარვონის** მარაგის სრული გახარჯვა (თუ, რომელიმე პაციენტმა გაუთვალისწინებლად არ შეწყვიტა მკურნალობა). საწყობში დარჩენილი ჰარვონის 1 კოლოფის (ღირებულება 3604,26 ლარი) გახარჯვა, სამკურნალო რეჟიმიდან გამომდინარე (თვეში 1 კოლოფი, ხანგძლივობა 3 და/ან 6 თვე), ვერ განხორციელდება.

მედიკამენტ **ეპკლუსას** რეჟიმზე, ქ. თბილისში, იმყოფება 6 წლის ბავშვი, რომელზეც მიმწოდებლიდან გაიცემა 1 კოლოფი და 14 აბი (განსხვავებული რეჟიმით). შესაბამისად, მოსალოდნელია გაუხარჯავად დარჩეს 1,5 კოლოფი, რომლის ღირებულება შეადგენს 4237,5 ლარს.

რაც შეეხება ძირითად სამკურნალო მედიკამენტ **მაიჰეპ ოლს,** მისი მარაგი (მიმწოდებელი+საწყობი) შეადგენს **7450** კოლოფს. 2020 წლის 20 ივლისის მდგომარეობით, ბენეფიციართა მკურნალობის სრული კურსის დასასრულებლად საჭიროა **1975** კოლოფი. თუ, მკურნალობა დაიწყეს მაისი-ივნისი-ივლისის „დაყოვნებულმა“ ბენეფიციარებმაც, გაიხარჯება წამლის **785** კოლოფი. 20 ივლისის მდგომარეობით, „კომისიაზე“ გასულია 385 პაციენტი. თვის ბოლომდე კიდევ მოსალოდნელია დაახლოებით 200 პაციენტის ჩართვა, რომლის სამყოფი მედიკამენტი **600** კოლოფს შეადგენს. ამ შემთხვევაში, სააგენტოს მარაგში დარჩება დაახლოებით **4090** კოლოფი მაიჰეპ ოლი. არსებული სტატისტიკიდან და ძნელადპროგნოზირებადი მდგომარეობიდან გამომდინარე, პროგრამაში ჩასართავ პაციენტთა სავარაუდო რაოდენობების გათვლებით (თვეში 500, 600, 700 ან 800) და მათი შესაბამისი მკურნალობის რეჟიმების დაანგარიშებით, მედიკამენტ მაიჰეპ ოლის ახალი მარაგის შევსება (დონაცია) უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს ოქტომბრის თვეში.

მედიკამენტ **რიბავირინის** მარაგი (საწყობი+მიმწოდებელი) 2020 წლის 20 ივლისის მონაცემებით, შეადგენს **98 489** აბს. ბოლო 12 თვის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რიბავირინიან რეჟიმზე იმყოფება პაციენტთა საშუალოდ 3,41% (იხ. დანართი 1 - რეჟიმების ანალიზი). 2020 წლის მაისს-ივნისში შეინიშნება რიბავირინიანი რეჟიმების მცირე პროცენტული მატება (5,81 %-მდე).

2020 წელი, თვე	**იანვ.**	**თებერვ.**	**მარტი**	**აპრილი**	**მაისი**	**ივნისი**
მკურნალობაში ჩართულ პაციენტთა რაოდენობა	1829	1789	387	992	338	689
მათ შორის, რიბავირინიან რეჟიმზე მყოფი პაციენტების რაოდენობა	41	53	13	34	20	40
თვეში პაციენტებზე გაცემული/გახარჯული რიბავირინის საერთო რაოდენობა (აბები)	15 682	17658	19450	13 593	13 171	18060

2020 წლის იანვრიდან, ყოველთვიურად, პაციენტებზე გაიცემა საშუალოდ **16 300** აბი რიბავირინი (იხ. დანართი 2 - პაციენტებზე გახარჯული მედიკამენტები). თუ, აღნიშნული მედიკამენტის ხარჯვა გაგრძელდება იგივე რეჟიმით, არსებული მარაგი საკმარისი იქნება დარჩენილი 5 თვის განმავლობაში. მედიკამენტის დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ, თქვენს მოსაზრებას შესასყიდი რიბავირინის რაოდენობის და პერიოდის თაობაზე.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარი მელიქიძე